საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №58/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 25 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის №58/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოში სარჩელი -- -- წარადგინა 2018 წლის 16 ივლისს, ხოლო სასამართლომ პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 2019 წლის 15 თებერვალს.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სხდომის მიმდინარეობისას სხდომის მდივანმა და მოპასუხის წარმომადგენელმა გამოიჩინეს უპატივცემულობა, გაურკვეველი მიზეზით დაიწყეს სიცილი და ირონიული შენიშვნები, ხოლო მოსამართლემ უყურადღებოდ დატოვა აღნიშნული ქმედება და არ მოახდინა რეაგირება. მოგვიანებით კი მოსამართლემ მიმართა მოსარჩელე მხარეს ირონიულად და სიცილით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 16 ივლისს -- -- წარმომადგენლებმა -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2018 წლის 17 ივლისის განჩინებით მოსარჩელე -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 2018 წლის 25 ივლისს -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 17 ივლისის განჩნების გაუქმების მოთხოვნით. 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. 2018 წლის 7 აგვისტოს განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა; მოსარჩელე -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2018 წლის 31 ივლისს მოსარჩელემ მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარების დასტური წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 30 აგვისტოს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი და შუამდგომლობა შესაგებლისათვის განსაზღვრული საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ.

შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე 2018 წლის 31 აგვისტოს გადაეცა მოსამართლე -- --.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნა:

3.1. -- -- 2019 წლის 25 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იამვრამდე მოქმედი რედაქცია).

3.2. -- -- 2019 წლის 25 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 16 ივლისს ხოლო მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა 2018 წლის 25 ივლისს. კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება კონკრეტული თარიღიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 8 თვე.

მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებაში. საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მოსამართლე -- -- აღნიშნულ საქმეზე განახორციელა არაერთი საპროცეო მოქმედება - მიიღო 6 განჩინება, ჩაატარა მოსამზადებელი სხდომა. ამასთან გასათვალისწინებელია, საქმის ზემდგომ ინსტანციაში ყოფნის პერიოდი (01.10.2018-18.12.2018 წწ) და მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდი 13.08.2018-12.09.2018 წწ (საერთო ჯამში 2 თვე და 18 დღე). ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა, მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 1,033 სამოქალაქო საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 798 სამოქალაქო საქმე (77%).

არსებული სტატისტიკის, დატვირთულობის, საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის და მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდის, ასევე მის მიერ ჩატარებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, აღნიშნული პერიოდი არ წარმოადგენს არაგონივრულ ვადას.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან. ხოლო, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის განმარტება, რომ სხდომის მდივანი და მოპასუხის წარმომადგენელი სხდომის მიმდინარეობისას იჩენდნენ უპატივცემულობას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, სხდომის ვიდეოჩანაწერის დეტალურად გაცნობის და გაანალიზების შედეგად არ დადასტურდა.

სხდომის მსვლელობისას მოსამართლემ მიმართა მხარეებს, რომ მორიგების საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად დაკონტაქტებოდნენ ერთმანეთს, რაზეც მოსარჩელე მხარემ განაცხადა - „ვერ ვხვდები რატომ გეღიმებათ მაგაზე, არ იჩენენ სურვლის რომ შეგვხვდნენ“ - სხდომის ვიდეოჩანაწერის დეტალურად გაცნობის შედეგად არ დადასტურდა მოსამართლის მხრიდან ირონიული და სიცილით მიმართვის ფაქტი.

ამდენად, მოსამართლის მიერ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არ იკვეთება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით (მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტზე) და 14 წევრთაგან 12 ხმით (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო

კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ფაქტზე), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით,75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №58/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი